საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში

01.14.16.015.516 ს/კ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე

მრავალფუნქციური შენობის (კომერციული და საცხოვრებელი)

არქიტექტურული პროექტის

"ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის

2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

საექსპერტო შეფასების საფუძველი და გამოყენების წესები:

- ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

- საექსპერტო შეფასება არ მოიცავს სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს

- დოკუმენტაციის შემადგენლობა განსაზღვრულია მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის 2 პუნქტის ა) არქიტექტურული პროექტი III-IV კლასების შემთხვევაში.

- ექსპერტიზის შეფასება ეყრდნობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ საპროექტო დოკუმენტაციას.

- ნებისმიერი სახის ცვლილება რომელიც შეუსაბამობაში მოდის წარმოდგენილ საექსპერტო შეფასებასთან, იწვევს მის გაუქმებას.

- არქიტექტურულ პროექტში ისეთი სახის ცვლილება, რომელიც საჭიროებს ხელახალ საექსპერტო შეფასებას, განხილულ უნდა იქნას ექსპერტთან, დადგენილებასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში კი საჭიროებისამებრ აისახოს განახლებულ დასკვნაში. დადგენილებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში პროექტს ვერ მიეცემა დადებითი შეფასება.

- ექსპერტი პასუხისმგებელია მხოლოდ მასთან წარმოდგენილი პროექტის დადგენილებასთან შესაბამისობის ნაწილში, სამშენებლო ან ექსპლუატაციის შემდგომ პერიოდში ნებისმიერი სახის გადახვევა ვერ იქნება ექსპერტის პასუხისმგებლობა.

- ხანძრისაგან დაცვის სისტემები გეგმებზე ასახულია პირობითად და განსაზღვრავს სისტემის საჭიროებას შესაბამისი სივრცეებისათვის, სისტემების კონკრეტული განთავსების ლოკაცია და რაოდენობა უნდა განისაზღვროს შესაბამის საინჟინრო პროექტში.

- საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნას ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნები. ზემოაღნიშნული უნდა შეთანხმდეს შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან.

- ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- ექსპერტი ვერ იქნება პასუხისმგებელი დამკვეთის მხრიდან ნებართვის გამცემი ორგანოსთვის ექსპერტიზით შეფასებული პროექტისაგან განსხვავებული მასალის წარდგენაზე.

საექსპერტო შეფასების შემადგენლობა

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილების 21-ე მუხლის 5-ე ქვეპუნქტის შესაბამისად საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას

ვ) მისაწვდომობის შეფასებას

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემის შეფასებას

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აქმაყოფილებს "წესების" ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

სწ-2	ჯგუფისთვის	18.6
სვ	ჯგუფისთვის	5.6 / 2.8
თვ-3	ჯგუფისთვის	4.7
დს	ჯგუფისთვის	27.9
სც-2	ჯგუფისთვის	18.6

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

-18.15	სწ-2	ავტოსადგომი
-15.15	სწ-2	ავტოსადგომი რეზერვუარი სატუმბი
-12.15	სვ	კომერციული ფართი
-12.15	დს	დაცვის ოთახი, პერსონალის ოთახი, საგენერატორო, ხანძრის მართვის ცენტრი
-7.80	სვ	კომერციული ფართი
-3.45	სვ	კომერციული ფართი
0.00	სვ	კომერციული ფართი
0.00	თვ-3	სპორტული დარბაზი (სავარჯიშო) აუზით
+4.35	სც-2	საცხოვრებელი ფართი
+7.65 დან +30.90 ჩათვლით	სც-2	საცხოვრებელი ფართი

დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი 2791

-18.15	დ.დ	სწ-2	125
-15.15	დ.დ	სწ-2	118
-12.15	დ.დ	სვ	697
-12.15	დ.დ	დს	4
-7.80	დ.დ	სვ	392
-3.45	დ.დ	სვ	365
0.00	დ.დ	სვ	302
0.00	დ.დ	თვ-3	74
+4.35	დ.დ	სც-2	72
+7.65	დ.დ	სც-2	92
+10.95	დ.დ	სც-2	101
+14.25	დ.დ	სც-2	92
+17.55	დ.დ	სც-2	101
+20.85	დ.დ	სც-2	92
+24.15	დ.დ	სც-2	101
+27.45	დ.დ	სც-2	92
	დ.დ	სც-2	101

რადგან შენობა შერეული დაკავებულობისაა, დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია 508.4 სხრილის მიხედვით მოთხოვნილი 2 საათიანი ხანძარმედეგობის მქონე გამმიჯნავებით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება

ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა საპროექტო კონსტრუქციის ტიპი შენობისთვის I-A, რომელიც შერჩეული იქნა გამოყენებული ცეცხლმედეგი მასალებისა და შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

601 ცხრილის მიხედვით კონსტრუქციის ტიპს მოეთხოვება:

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო – 3 სთ.
- მძიდი კედლები გარე-3 სთ
- მზიდი კედლები შიგა 3 სთ
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 1 ½ სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები -2 სთ.

აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს 601-ე ცხრილის მოთხოვნებს.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება

პროექტით გათვალისწინებულია -18.15 და +27.45 ნიშნულის ჩათვლით 14 დაკავებული იატაკის მქონე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა. წესების 503-ე ცხრილის მიხედვით I-A კონსტრუქციის შენობა შეიძლება იყოს, შეუზღუდავი სიმაღლის, შეუზღუდავი ფართობისა და შეუზღუდავი სართულის მქონე შენობა, შესაბამისად საპროექტო ობიექტი ზემოაღნიშნული მახასიათებლებით აკმაყოფილებს "წესების" 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

თითოეულ სართულზე გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილის სიგრძე აკმაყოფილებს 1016.2 სხრილის მოთხოვნებს.

-18.15 და -15.15 ნიშნულებზე სწ-2 დაკავებულობისთვის მაქსიმალური სავალი მანძილი დასაშვებია იყოს არაუმეტეს 120 მეტრისა, თუმცა პროექტით გათვალისწინებული მაქასიმალური სავალი მანძილი არ აღებატება 60 მეტრს.

-12.15, -7.80 , -3.45 და 0.00 ნიშნულებზე სვ დაკავებულობისათვის მაქსიმალური სავალი მანძილი დასაშვებია იყოს არაუმეტეს 75 მეტრისა, თუმცა პროექტით გათვალისწინებული მაქასიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 70 მეტრს.

+4.35 ნიშნულზე თვ-3 დაკავებულობისათვის მაქსიმალური სავალი მანძილი დასაშვებია იყოს არაუმეტეს 75 მეტრისა, თუმცა პროექტით გათვალისწინებული მაქასიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 70 მეტრს.

+4.35 ნიშნულიდან +27.45 ნიშნულის ჩათვლით სც-2 დაკავებულობისათვის მაქსიმალური სავალი მანძილი დასაშვებია იყოს არაუმეტეს 75 მეტრისა, თუმცა პროექტით გათვალისწინებული მაქასიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 40 მეტრს.

პროექტი წესების მიხედვით ითვალისწინებს 1.5 მ. დერეფანს საცხოვრებელი ერთეულების ნიშნულზე. დანარჩენ დაკავებულობაში დერეფნები არ არის.

გასასვლელი კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე გათვალისწინებულია 0.9 მ.

შენობაში ორი სავალდებულო გზა კიბის გასასვლელი გადის შენობიდან საზ. სივრცისკენ შუალედური სივრცეების გარეშე პირდაპირ გარეთ -12.15 ნიშნულზე. ხოლო მესამე კიბე გადის პირდაპირ გარეთ +0.00 ნიშნულზე.

მიწისპირა ნიშნულზე კომერციულ ფართს აქვს დამოუკიდებელი 4 გასასვლელი.

საავტომობილო პანდუსი მოწყობილია წესების 406.9.4 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ სართულზე ავტოსადგომთა ჯამური მაჩვენებელი არ აღემატება 50-ს, დაპროექტებისას უფრო მკაცრი მოთხოვნები არის გათვალისწინებული. შენობაში ავტომობილების მოხვედრა ხდება დამოუკიდებელი შესასვლელით და გასასვლელით, რომლის მინიმალური საჭირო სიგანეა 3,5მ, რაც გათვალისწინებულია.

ასევე ყველა სართულზე მოძრაობა არის წრიული. საპირისპირო მოძრაობათა თანაკვეთა არ ხდება.

პანდუსი არის როგორც სწორხაზოვანი ასევე ნახევრადწრიული. შენობაში მდებარე სწორხაზოვანი საავტომობილო პანდუსის ქანობი დასაშვებია იყოს 18%. საავტომობილო პანდუსისა და თარაზული სავალი ზედაპირის შეხების ადგილიდან სულმცირე 3.5 მ. მანძილზე პანდუსის ქანობი არის 10%. პროექტით წარმოდგენილი პანდუსი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. (406.9.4.4)

ავტოსადგომების ზომები შეესაბამება წესების მოთხოვნებს განლაგებისა და ზომების მიხედვით. (406.9.4.3)

პროექტით გათვალისიწნებული ავტოსადგომი გარაჟები არის პანდუსებით დაკავშირებული დონეებით, რომელთა გამოყენებით ავტომობილი გადაადგილდება ქუჩის დონიდან ან ქუჩის დონისკენ.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასავლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება

1016 თავის მიხედვით საჭიროა შენობაში სართულზე ორი გასასვლელის მოწყობა, პროექტით გათვალისწინებულია სამი გზა-კიბე შერეული დაკავებულობების დონეებზე. ყველა ფუნქციას და დაკავებულობას ემსახურება მინიმუმ 2 გზა-კიბე

კიბეები ერთმანეთთან განლაგებულია 9 მ-ზე მეტი მანძილის დაშორებით,

კიბეების განთავსება არ ქმნის 15 მ ზე მეტ ჩიხურ დერეფნებს და ამ დერეფნებში მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა.

გზა-კიბეების მარშის სიგანე წესების მოთხოვნის მიხედვით, სახელურებს შორის არის 1.20მ. კიბეს გააჩნია დაწნევის სისტემა.

1009.16 პუნქტისა და ქვეპუნქტების შესაბამისად სახურავი დაუკავებელია და მასზე მოხვედრა ხდება ორივე კიბის უჯრედიდან.

გასასვლელთან მისადგომის შემოზღუდულ გზა-კიბეებში არ არის მოწყობილი ისეთი გაყვანილობები რომლებიც აუცილებელი არ არის გასასვლელთან მისადგომის შემოზღდული გზა-კიბეებისთვის. (1009.3.1.5.1.)

გზა-კიბეების შემომზღუდავების გაყვანილობები დაცული უნდა იყოს ისე როგორც ცეცხლმდებეგი ზღუდეების გაყვანილობები 714 თავის შესაბამისად.

3) მისაწვდომობის შეფასება

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყფილია მისაწვდომობა. შენობის -12.15 სართული მდებარეობს მიწისპირა ნიშნულზე.

შენობის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ პირველი სართული მოწყობილია მიწისპირა 0.00 ნიშნულზე, ზედა სართულებზე მისაწვდომია ლიფტი, გათვალისწინებულია კიბის უჯრედებში თავშესაფრის სივრცეები შესაბამისი ზომებით,

არცერთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 90 სმ-ზე ნაკლები.

შენობის ნებისმიერ სივრცეში, წესების მოთხოვნათა დაცვით, უზრუნველყოფილია 90 სმ-იანი სავალი ბილიკის არსებობა.

საცხოვრებელი ერთეულების მისაწვდომობის საკითხი დარეგულირებულია დადგენილების 1107.6.2 ქვეპუნქტის მიხედვით.

სც-2 დაკავებულობის საერთო რაოდენობის 2% არის ა ტიპის ერთეული, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი არის ბ ტიპის ერთეული..

სვ ჯგუფისთვის და ასევე თვ-3 ჯგუფის დაკავებული სივრცეები სრულად ადაპტირებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით.

ლიფტისადმი მოთხოვნები

პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო სამაშველო დანაყოფებისთვის 2 ლიფტი 1707 ქვეთავისმიხედვით დაგეგმარებული. ლიფტებს გააჩნია ფოიე 10.0 კვ.მ. რომელსაც აქვს კიბესთან კავშირი. 1707.4 პუნქტის მიხედვით ფოიეს მინიმალური სიგანეა 2 მ. ლიფტის კაბინის მინიმალური თავისუფალი ზომა გათვალისწინებულია 2.35 x 1.50, სადაც შესაძლებელია საკაცის განთავსება. საკაცის ზომები 2,15X0,60.

ლიფტის ფოიეს აქვს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი ხოლო სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი ყველა კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 45 წუთია (ლიფტის შახტში შესასვლელი კარის გარდა). (1707.7.3)

1707.7.5 პუნქტის მიხედვით სახანძრო სამაშველო ლიფტის ფოიეში ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს ჩარჩოს მარჯვენა კუთხეში სტანდარტული დიზიანინის გრაფიკული სიმბოლოა განთავსებული.

სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი ხანძრის მართვის ცენტრიდან მუდმივად გაკონტროლდება NFPA 72- ის შესაბამისი სტანდარტული საავარიო მომსახურების ინტერფეისული სისტემის მიერ (1707.8)

ლიფტის შახტისა და სამანქანო ოთახის გარეთ არსებული გაყვანილობა ან კაბელები, რომლებიც ჩვეულებრივი ან სათადარიგო ელ. ენერგიის მიწოდებას, საკონტროლო სიგნალების ამოქმედებაას, კარადასთან კავშირს, განათებას, გათბობას, ჰაერის კონდიცირებას , განიავებასა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების მუშაობას უზრუნველყოფს სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტებში, 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციით იქნება დაცული ან კაბელის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 სთ იქნება. (სიგნალის საკონტროლებელი გაყვანილობისა და კაბელების დაცვა საჭირო არ არის თუ გაყვანიოლბა და კაბელები II ფაზის საგანგებო რეჟიმს არ ემსახურება) (1707.9)

905 ქვეთავის მიხედვით შესაბამისი კლასის სახანძრო მილდგარის სახელოს თავაკი უზრუნველყოფილია შიგა გასასვლელის გზა-კიბეზე, რომელიც პირდაპირ უდგება სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტის ფოიეს,

გასასვლელის შემომზღუდავი, რომელშიც სახანძრო მილდგარია, იატაკს ისე დაუკავშირდება , რომ სახანძრო სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს გადაკვეთა საჭირო არ იქნება.(1707.10)

დამატებით მოწყობილია 2 სამგზავრო ლიფტი რომელთა გამოყენება მოხდება მხოლოდ ავტოსადგომებისა და კომერციულ სართულებზე.

ყველა ლიფტი აღჭურვილია დაწნევის სისტემით.

ავტოსადგომების ნიშნულებზე ლიფტებისათვის გათვალისწინებულია ტამბური მინიმუმ 1,80 სავალი მანძილით.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას

გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს ლესვა ღებვითა და მოსაპირკეთებელი მასალებით.

გარე კედლებისა და მასში მოწყობილი ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 602 და 705.8 ცხრილების მოთხოვნებს.

ლითონშემცველი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 1407 ქვეთავის მოთხოვნებს.

გარე საიზოლაციო და მოსაპირკეთებელი სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს 1408 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის გარე კედლებზე გამოყენებული პენოპლასტისებური მასალები (EPS/XPS) უნდა აკმაყოფილებდეს ხანძარმედეგობის ნორმებს :

ცეცხლის გადაცემის კუთხით ზემოაღნიშნული მასალები უნდა შეესაბამებოდეს NFPA 285 – ს

- სითბოს თბოგადაცემის ინდექსი უნდა შეესაბამებოდეს NFPA 259 – ს
- ალის გავრცელების ინდექსი განისაზღვრება ASTM E84 – ით
- იმ შემთხვევაში თუ სავალდებულო მასალები არ იქნება დადგენილების მოთხოვნების შესაბამისი ცეცხლმედეგობის, წარმოდგენილი ექსპერტიზა ხდება ბათილი.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გადახურვა აკმაყოფილებს "წესებით" განსაზღვრულ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, არის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

განსხვავებული დაკავებულობები გამიჯნულია ორ საათიანი ცეცხლმედეგი ბეტონის ბლოკის კედლებითა და ბეტონის სართულშუა გადახურვებით. რაც შეესაბამება 508.4 ცხრილის მოთხოვნებს

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები

  ხელის ცეცხლმაქრები დამონტაჟებულია სასხოვრებელი სართულის დერეფანში, ასევე სავაჭრო და თავშეყრის ფართობებში.

- ავტოსაშხეფი სისტემა

  მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

  წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, ავტოსაშხეფი სისტემა არ არის დაყენებული კიბის უჯრედებსა და ლიფტებში.

- სახანძრო მილდგარების სისტემები

  სახანძრო მილდგარი მოწყობილია კიბის უჯრედში. მილდგარის ზუსტი განთავსების ადგილი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

  მილდგარი უნდა მოეწყოს 905 ქვეთავის შესაბამისად

- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებლი მისაერთებელი

- მექანიკური განიავება

  მექანიკური განიავების სისტემები მოწყობილია ყველა იმ სივრცეში, სადაც არ ხდება ბუნებრივი განიავება, მაგალითად დერფნები, კიბის უჯრედები, ტამბურები, მიწისქვეშა ავტოსადგომები, ლიფტის ფოიე, სავაჭრო ფართები.

- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი

  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა მოწყობილია ყველა იატაკზე.

სახანძრო განგაშის სისტემა უნდა აქტიურდებოდეს:

- ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით
- საშხეფის წყლის ჭავლის მართვის მექანიზმებით
- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით
- ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით
  სახანძრო განგაშის სისტემა უნდა მოეწყოს NFPA 72-ის შესაბამისად

- ვიზუალური და ხმოვანი განგაშის სისტემა
- კვამლის ავტომატური აღმომჩენი
- კვამლზე მოარეაგირე მაუწყებელი
- დერეფნები და კიბის უჯრედი უწყვეტად შეინობიდან გამოსასვლელის ჩათვლით აღჭურვილია ავარიული განათების სისტემით
- კიბის უჯრედი აღღურვილია დაწნევისა და მექანიკური განიავების სისტემებით
- ხანძრის შესახებ ტექსტური გამოცხადება
- ლიფტი აღჭურვილია დაწნევის სისტემით
- ტამბურები აღჭურვილია კვამლის გაწოვისა და მექანკური განიავების სისტემებით
- ატრიუმი უნდა აღიჭურვოს კვამლის გაწოვის სისტემით, ავტოსაშხეფებითა და საახნძრო განგაშის საკუთარი სისტემებით
- 712.1.3.1 ქვეთავის შესაბამისად მგორავი კიბის (ესკალატორების) ღიობებისათვის უნდა მოეწყოს წევის მარეგულირებელი ფარდა და NFPA – 13 შესაბამისად ერთმანეთთან ახლოს დაყენებული ავტოსაშხეფები
- ავტოსადგომის პანდუსებზე მოწეყოს კვამლსაწინააღმდეგო ფარდა დრენჩერის ფარდასთან ერთად

915 ქვეთავის მოთხოვნები

915.4 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან შენობის სიმაღლე აღემატება 30 მეტრს სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის თავისუფალი სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 6 მეტრისა.
915.8 ქვეთავის მოთხოვნებისამებრ ვინაიდან შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე აღემაბტა 30 მეტრს, სახანძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზა შენობის მხარეს მდებარე გზის კიდიდან თარაზულად შენობის გარე მხარის უახლოეს ნაწილამდე დაცილებული უნდა იყოს არანაკლებ 9 მეტრისა და არა უმეტეს 12 მეტრისა.
915.12 ქვეთავიის მოთხოვნების შესაბამისად შენობას ესაჭიროება სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის მისადგომი 2 მხარე.

წარმოდგენილ შენობას გააჩნია ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისი გაბარიტის მქონე მისადგომი გზები რაც დატანილი გენგეგმაზე.

საჭირო სივრცეები

- ავტოსაშხეფი სისტემისათვის საჭირო რეზერვუარისა და სატუმბის სივრცეები გათვალისწინებულია −15.15 ნიშნულზე კიბის უჯდერის მომიჯნავედ.
- ელექტრო ენერგიის ავარიული გათიშვის შემთხვევისათვის ალტერნატიული კვების წყაროს სახით, გენერატორის სივრცე მოწყობილია −12.15 ნიშნულზე.
- ხანძრის მართვის ცენტრი მოწყობილია −12.15 ნიშნულზე 19.0 მ^2 ამასთანავე არცერთი ზომ არ არის 3 მეტრზე ნაკლები.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების განთავსება პირობითია, საჭიროებს შესაბამისი დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშვებასა და შეთანხმებას საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ან/და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, მათ მიერ დამატებითი სისტემების მოთხოვნის შემთხვევაში კი საჭირო ცვლილებები უნდა იქნას ასახული საპროექტო დოკუმენტაციაში მოხდეს შესაბამისი ნებართვის მოპოვება.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები შეესაბამება დაკავებულობის ტიპს, მათი რაოდენობა კი 1602.1 ცხრილში მოცემულ მინიმალურ რაოდენობას.

საკვლევი პროექტით გათვალისწინებულია -7.80 ნიშნულზე 8 სველი წერტილი, -3.45 ნიშნულზე 8 სველი წერტილი, 0.00 ნიშნულზე ასევე 8 სველი წერტილი სვ ჯგუფის დაკავებულობებისთვის (წესების მოტხოვნით; საჭიროა 500 დამკავებელზე 1 უნიტაზი. 750 დამკავებელზე ერთი ხელსაბანი, ერთი ცალი სამომსახურეო ნიჟარა 1000 თვის და ერთი წყლის შადრევანი 1000 დამკავებლისთვის) ზემოაღნიშნულ სართულებზე თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილია თითო მისაწვდომი სველი წერტილი.

სწ-2 ჯგუფის ავტოსადგომს არ მოეთხოვება წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები;

საცხოვრებელ ერთეულებს გააჩნია დამოუკიდებელი სველი წერტილები და სამომსახურეო ნიჟარები დანიშნულებისამებრ თითოეულ ერთეულს ცალკე.

დასკვნა

ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით №01.14.16.015.516 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (კომერციული და საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი : კონსტანტინე ღვინჯილია



2024 წ.

გამოყენებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერა
აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში დოკუმენტი ვერ ჩაითვლება დამოწმებულად.

შეფასება

ქ. თბილისში

01.14.16.015.516 ს/კ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე

მრავალფუნქციური შენობის (კომერციული და საცხოვრებელი)

მისაწვდომობის პროექტის

ტექნიკური რეგლამენტის

"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს

შესაბამისობის დადგენის მიზნით

მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, შეფასდა	
მისაწვდომი სვლაგეზი	მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები კარი და კართან მანევრირების სივრცეები პანდუსები ლიფტები
ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები	მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მისაწვდომი გზა კიბეები
წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები	ტუალეტების ოთახები უნიტაზები ხელსაბანები
საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები	ნიშნები
მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები	“ა” ტიპის ერთეულები “ბ” ტიპის ერთეულები

მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ

   - იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

   - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

   - იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

   - მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ – 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

   - სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 705-ე ქვეთავის შესაბამისი ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ქვეითთა გზაზე გადასასვლელთან არსებულ ბორდიურის პანდუსთან, რაც შეესაბამება 406.6.2 ქვეთავის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას. ამოცნობადი გამაფრთხილებლები მოწყობილია შემდეგი ნორმების დაცვით:

- ამოცნობადი გამაფრთხილებლების კონტრასტი სხვა ზედაპირებისაგან შესაბამისობაშია 705.3 ქვეთავთან.
- თავწაკვეთილი გუმბათების პარამეტრები შესაბამისობაშია 705.5.1 და 705.5.4 ქვეთავებთან.

- ამოცნობადი გამაფრთხილებლების სიღრმე და სიგანე შეესაბამება 705.6 ქვეთავს.

- ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ბორდიურის უკან, პანდუსის ზედაპირზე, ქვედა დონის ცვლილების ხაზიდან ერთი გუმბათის ფარგლებში, თანახმად 705.7.1 ქვეთავის მე-2 პუნქტისა.

3. პანდუსები რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ

    - პანდუსის დახრა არ აღემატება 1:12 შეფარდებას.

    - პანდუსის ზედაპირი შესაბამისობაშია 302-ე ქვეთავთან

    - პანდუსის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 405.5 ქვეთავის მოთხოვნას და არ არის 900 მმ -ზე ნაკლები

4. ლიფტები რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 407-408 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ

- ლიფტების შესასვლელი კარის თავისუფალი ზომა წარმოადგენს 900 მმ-ს

- ლიფტის კაბინის სიგანე არ არის 1300 მმ ხოლო სიღრმე 2300 მმ ზე ნაკლები.

- ვინაიდან ამ ეტაპზე არ არის კონკრეტული ლიფტის მოდელი შერჩეული, აღნიშნული მინიმალური მისაწვდომი ზომების დაცვა სავალდებულოა და უნდა მოხდეს მისი დაცვა.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.

- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე

მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- მიკროავტობუსისათვის განკუთვნილი სივრცე ღიაა, შესაბამისად შვეული თავისუფალი სივრცე აკმაყოფილებს 2500 მმ თავისუფალი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნას.

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას – „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მე-5 თავის მოთხოვნებს

- კიბის მარშის საფეხურები შეესაბამება 504.2 ქვეთავს

- კიბის მარშის საზღვრებში არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს, დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები:

    - სახელურები განთავსებულია კიბის ორივე მხარეს
    - სახელურების ხელმოსაჭიდი ზედაპირების თავი კიბის წინაპირებიდან არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1000 მმ სიმაღლეზეა განთავსებული.
    - ხელმოსაჭიდ ზედაპირებს შორის, არაუმცირეს, 40 მმ თავისუფალი სივრცეა შენარჩუნებული
    - ხელმოსაჭირი ზედაპირები არის უწყვეტი
    - სახელურების გარე დიამეტრი უტოლდება 30 მმ – ს
    - სახეკყრევუს გაბრძელებები შეესაბამება 505.10 ქვეთავის მოთხოვნებს

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   - ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

   - ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   - უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

   - უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

   - უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

   - უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

   - უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

   - ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.

- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საბანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „შNშ შEღIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

საპროექტო შენობაში მისაწვდომი ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების საფუძველზე, ხოლო მათ მიმართ წაყენებლი მოთხოვნები გათვალისწინებულია ტექნიკური რეგლამენტი "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" – ს მე-11 თავის დებულებების შესაბამისად.

სავალდებულო "ა" ტიპის ერთეულების რაოდენობა არის 2 %, ჯამში პროექტი ითვალისწინებს 131 ბინას, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 7 "ა" ტიპის ბინას, ხოლო დანარჩენი ერთეულები მოწყობილია "ბ" ტიპის მოთხოვნების შესაბამისად.

“ა” ტიპის ერთეულები

“ა” ტიპის ერთეულებია (ბინა № 4, 16, 34, 52, 70, 88, 106)

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.
- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.
- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.
- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.
- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.
- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.
- სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.
- ერთეულში მოწყობილია ერთი ტუალეტი რომელიც აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ :
    - ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.
    - მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.
    - გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
    - ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
    - უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
    - საშხაპე შეესაბამება 608-ე ქვეთავს.
    - სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

"ბ" ტიპის ერთეულები

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად1104.3.1 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.

- სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.

- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:

    - კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
    - ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.
    - უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.
    - აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.
    - სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით №01.14.16.015.516 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (კომერციული და საცხოვრებელი) მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი : კონსტანტინე ღვინჯილია



2024 წ.

გამოყენებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერა
აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში დოკუმენტი ვერ ჩაითვლება დამოწმებულად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

აქტი:**ა60. 01231582**
თარიღი:**07/06/2023**

ცნობა

ეძლევა კონსტანტინე ღვინჯილიას (პ/ნ 19001097637) მასზედ, რომ იგი 2018 წლის 03 მაისიდან 2020 წლის 15 იანვრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა/ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო, 2020 წლის 15 იანვრიდან 2023 წლის 29 მაისამდე იკავებდა სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) თანამდებობას.

ამასთან, 2019 წლის 23 სექტემბრიდან 2019 წლის 11 ნოემბრამდე დაკისრებული ქონდა ამავე სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შესრულება, ხოლო, 2019 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე ასრულებდა სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) მოვალეობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თეიმურაზ ბოლოთაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

22 October, 2018

0.3 CEU

Konstantine Ghvinjilia

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი

Bachelor's Diploma

BD № 001992

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2015 წლის 21 ივლისის № 58 გადაწყვეტილებით

კონსტანტინე ღვინჯილიას მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 58 July 21, 2015 of the Faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Konstantine Ghvinjilia *was awarded the Degree of Bachelor of*

Architecture

საგანგებო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

საგანგებო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 003986

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
2020 წლის 31 ივლისის № 22 გადაწყვეტილებით

კონსტანტინე ღვინჯილიას

მიენიჭა არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სპეციალიზაციით

By the decision № 22 July 31, 2020 of the Faculty of
Architecture, Urban Planning and Design

Mr. Konstantine Ghvinjilia

was awarded the Degree of Master of Architecture
Specializing in Construction Architecture and Urban Planning

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი · LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY · 211349192

სარეგისტრაციო № 04023
Registration

დეკანი *Dean* ნინო იმნაძე *Nino Imnadze*

თბილისი *Tbilisi* 26 რიცხვი/*Day* 11 თვე/*Month* 2020 წელი/*Year*

რექტორი *Rector* დავით გურგენიძე *David Gurgenidze*

ბ.ა. *Seal*

განმარტება შუალედურთან დაკავშირებით

ატრიუმის სივრცეებს არ მოეთხოვება შემომზღუდავები ვინაიდან აკმაყოფილებს 404.6 ქვეთავის მესამე გამონაკლისს, იგი აკავშირების სამ სართულს და ამასთანავე აღჭურვილია კვამლის კონტროლის სისტემით 909 ქვეთავის შესაბამისად.

შენობა სრულად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით რაც დაფიქსირებულია ექსპერტიზაში. სისტემები უნდა დაპროექტდეს 903 ქვეთავის შესაბამისად, მომზადდეს შესაბამისი საინჟინრო სისტემების დოკუმენტაცია და შეთანხმდეს საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

1014 ქვეთავთან დაკავშირებით ყველა სასხოვრებელი ერთეულის უკიდურესი შიდა დაკავებული სივრციდან დერეფანში გამოსასვლელი მანძილები არ აღემატება 38 მეტრს. ბინის კარიდან დერეფანში მოხვედრისთანავე კი ორი კიბისკენ მიმართულების არჩევის საშუალება ეძლევა დამკავებელს. რაც შეეხება დანარჩენ დაკავებულობებს, მათ მიმართ წაყენებულია ცხრილის შესაბამისად არაუმეტეს 23 მეტრის საერთო სავალი ბილიკები, რაც გათვალისწინებულია და დაცულია.

ყველა ბილიკი მიემართება გზა-კიბეებისაკენ, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ როგორც გასასვლელი საშუალებებთან, ასევე მათკენ მიმავალი ბილიკების გასწვრივ ან/და ჭერზე განთავსებული უნდა იყოს გასასვლელი საშუალებისკენ მიმავალი ბილიკების ისრიანი მიმმართველები, აღნიშნულები უნდა განთავსდეს იმ დერეფნების/ბილიკების კვეთებზეც სადაც არსებობს რამდენიმე ალტერნატიული გასასვლელი გზა-კიბისკენ მიმავალი ბილიკები.

Konstantine Ghvinjilia 19001097637

Digitally signed by Konstantine Ghvinjilia
Date: 2024.04.21 15:28:05